„დამტკიცებულია “

რექტორის საბჭოს მიერ

19.03.2026

# პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

# კვლევითი მიმართულების ორგანიზება და მართვა - დებულება

**დოკუმენტის თავდაპირველი რედაქცია:**

| N | გადაწყვეტილების მიმღები ორგანო | ოქმის/ბრძანების ნომერი | თარიღი |
|---|---|---|---|
| 1 | რექტორის საბჭო | #84 | 19.03.2026 |

**განხორციელებული ცვლილებები**

| N | გადაწყვეტილების მიმღები ორგანო | ოქმის/ბრძანების ნომერი | თარიღი | მუხლი | შინაარსი |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |
| | | | | | |

**მუხლი 1. მოქმედების სფერო და მიზნები**

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (შემდგომში - თსა) კვლევითი მიმართულების ორგანიზებისა და მართვის სისტემას, მათ შორის თსა-სამეცნიერო დეპარტამენტის, სადოქტორო სკოლის და სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებებსა და საქმიანობის წესს.

1.2 დებულება არეგულირებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, დოქტორანტურაში მიღების, აგრეთვე პროსპექტუსის და სადისერტაციო ნაშრომის (თეზისის) წარდგენისა და დაცვის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს.

1.3 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებულ დავების განხილვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი გასაჩივრების წესს.

**მუხლი 2. ტერმინთა განმარტება**

2.1 სამეცნიერო დეპარტამენტი - თსა-ს სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას და განხორციელებას, სადოქტორო განათლებასთან დაკავშირებული პროცესების მხარდაჭერას, ინსტიტუციური კვლევითი გარემოს და კომპეტენციის განვითარებას.

2.2 სადოქტორო განათლება / დოქტორანტურა - უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, მოიცავს სასწავლო და კვლევითი აქტივობების ერთობლიობას და მიზნად ისახავს დამოუკიდებელი მკვლევარების მომზადებას; სრულდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

2.3 სადოქტორო პროგრამა - უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანამანათლებლო პროგრამა, ეფუძნება კვლევით საქმიანობას და უზრუნველყოფს დოქტორანტთა მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობისთვის.

2.4 სადოქტორო სკოლა - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის (თსა) სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს აკრედიტებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას.

2.5 სადოქტორო სკოლის კოორდინატორი - სამეცნიერო დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ დანიშნული პირი, კოორდინირებას უწევს სადოქტორო სკოლის საქმიანობას და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას.

2.6 სადოქტორო სკოლის აკადემიური კოორდინაცია - სადოქტორო სკოლის საორგანიზაციო თემების განხილვის, სადოქტორო პროგრამების განხორციელების უზრუნველმყოფელი პროცესი.

2.7 სამეცნიერო საბჭო - დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

2.8 დისერტაციის დაცვის კომისია - სადოქტორო სკოლის კოორდინატორის შუამდგომლობის საფუძველზე სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ შექმნილი კოლეგიური ორგანო, მონაწილეობს დისერტაციის შესრულებისა და შეფასების პროცედურებში.

2.9 კომისია - სამეცნიერო დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე რექტორის ბრძანებით შექმნილი კოლეგიური ორგანო; წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მიდგომის და კრიტერიუმების შესაბამისად აფასებს სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის განაცხადს და გასაუბრების პროცესს.

2.10 კვლევითი მიმართულება - სამეცნიერო სფერო ან სფეროთა ერთობლიობა, რომლის ფარგლებში ხორციელდება სამეცნიერო/სადოქტორო კვლევები/პროგრამები.

2.11 დოქტორანტი - პირი, რომელიც სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე.

**მუხლი 3. სამეცნიერო დეპარტამენტი**

3.1 სამეცნიერო დეპარტამენტი წარმოადგენს თსა-ს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციური კვლევითი კომპეტენციის განვითარებას, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობას, აგრეთვე კვლევით, საგრანტო და ინოვაციურ საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესების მხარდაჭერას.

3.2 სამეცნიერო დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) თსა-ს კვლევითი კომპეტენციის განვითარება შესაბამისი პროგრამების და აქტივობების განხორციელების გზით;

ბ) სამეცნიერო და საგრანტო პროგრამების, მათ შორის საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და განახლება;

გ) თსა-ს შიდა საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი კვლევითი პროექტების შეფასების მიზნით სამეცნიერო საგრანტო და ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტების სამუშაო პროცესის ორგანიზება და მხარდაჭერა;

დ) კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და სხვა შესაბამისი კომპეტენციის დაწესებულებებთან;

ე) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მხარდაჭერის მიზნით კვლევით, სამედიცინო და კლინიკური პრაქტიკის დაწესებულებებთან, ინდუსტრიასთან თანამშრომლობა თსა-ს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმების საფუძველზე;

ვ) თსა-ს შიდა საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული და განხორციელებული კვლევითი პროექტების შედეგების საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების ხელშეწყობა;

ზ) კვლევითი და ინოვაციური პროექტების განხორციელების ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასაუნივერსიტეტო ცენტრებთან, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებთან, ბიზნეს-სექტორთან, ინდუსტრიასთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობით;

თ) თსა-ს და მისი პერსონალის კვლევების შედეგების კომერციალიზაციის და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ი) კვლევის მიმართულებით თსა-ს პერსონალის კარიერული განვითარების მხარდაჭერა;

კ) ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო შესაძლებლობების შესახებ თსა-ს პერსონალის ინფორმირება;

ლ) მეცნიერების პოპულარიზაცია სამეცნიერო ღონისძიებების, კონფერენციების, სემინარებისა და საჯარო ლექციების, სეზონური სკოლების, ვორქშოპების და ა.შ. ორგანიზებით;

მ) თსა-ში სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოების ჩამოყალიბების და განვითარების ხელშეწყობა;

ნ) კვლევით აქტივობებში სტუდენტთა ჩართვისთვის აპლიკანტების შერჩევის პროცესის ადმინისტრირება კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად;

ო) კვლევითი საქმიანობისთვის განკუთვნილი ბიუჯეტის დეგეგმვაში მონაწილეობა და შესაბამისი შესყიდვების კოორდინირება;

პ) სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება და პროცესების ორგანიზაციული მხარდაჭერა;

ჟ) სადოქტორო სკოლის, სამეცნიერო საგრანტო და ბიოეთიკის საერთაშორისო კომიტეტების, ლაბორატორიის, საგრანტო ოფისის „Horizon Europe" ადმინისტრაციული და პროცედურული მხარდაჭერა;

რ) სადოქტორო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული პროცედურების მხარდაჭერა, კერძოდ, სადოქტორო სკოლის კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე დოქტორანტურაში მიღების ადმინისტრირება;

ს) სამეცნიერო საბჭოს შექმნის კოორდინირება, მისი საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და საქმისწარმოების უზრუნველყოფა.

3.3 სამეცნიერო დეპარტამენტი თსა-ს კვლევითი კომპონენტის განვითარების მიზნით თანამშრომლობს სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით, სამედიცინო და კლინიკური პრაქტიკის დაწესებულებებთან და ინდუსტრიასთან თსა-ს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების და მემორანდუმების საფუძველზე.

**მუხლი 4. სადოქტორო სკოლა**

4.1 სადოქტორო სკოლა წარმოადგენს თსა-ს სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს თსა-ში მოქმედი აკრედიტებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და საჭიროების შემთხვევაში განახლების/ცვლილების ინიცირებას.

4.2 სადოქტორო სკოლის მიზანია დოქტორანტთა აკადემიური კომპეტენციის და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

4.3 სადოქტორო სკოლის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირება, მათ შორის დისერტაციის დაცვის კომისიის ადმინისტრაციული მხარდაჭერა და შესაბამისი საქმისწაროება;

ბ) დოქტორანტთა აკადემიური და კვლევითი პროგრესის მონიტორინგი სადოქტორო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელებთან თანამშრომლობით;

გ) დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობის, ადგილობრივ და საერთაშორის ინდუსტრიულ, პრაქტიკის და კვლევით პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობა;

დ) აკადემიური თავისუფლების და კეთილსინდისიერების, ეთიკის პრინციპების დაცვით სადოქტორო კვლევების განხორციელების ხელშეწყობა კვლევის მიმართულებით თსა-ს შესაბამისი კომპეტენციის მქონე სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით.

4.4 სადოქტორო სკოლის საქმიანობა მოიცავს თსა-ს აკრედიტებული სადოქტორო პროგრამების განხორციელებას; პროცესის აკადემიურ კოორდინაციას ახორციელებს სადოქტორო სკოლის კოორდინატორი.

4.5 სადოქტორო სკოლის კოორდინატორი ინიშნება რექტორის მიერ სამეცნიერო დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე.

4.6 სადოქტორო სკოლის აკადემიური კოორდინაცია ხორციელდება სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელების მონაწილეობით, საჭიროების შემთხვევაში - შესაბამისი მიმართულებით კვლევითი კომპეტენციის მქონე თსა-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობით. აღნიშნული პროცესი არ წარმოადგენს კოლეგიური გადაწყვეტილების მექანიზმს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხებში და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება სამეცნიერო დეპარტამენტთან კოორდინირებით.

4.7 სადოქტორო სკოლის აკადემიური კოორდინაციის პროცესში შესაბამისი რეკომენდაციები ყალიბდება პროცესში მონაწილე პირების შეთანხმების საფუძველზე.

**მუხლი 5. სამეცნიერო საბჭო**

5.1 სამეცნიერო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება რექტორის მიერ სამეცნიერო დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე.

5.2 სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედის თსა-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალი; აღნიშნულ შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ აგრეთვე საპატიო პროფესორის წოდების მქონე პირები.

5.3 სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეული იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირ(ებ)ი საქართველოს ან სხვა საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო დაწესებულებებიდან. მოწვეულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სამეცნიერო საბჭოში შემავალი თსა-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობას.

5.4 სამეცნიერო საბჭო 3 წლის ვადით, თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს თავმჯდომარეს. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ შესაძლებელია არჩეულ იქნეს ზედიზედ არაუმეტეს 2-ჯერ.

5.5 სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს.

5.6 სამეცნიერო საბჭოს საქმისწარმოების, სხდომების ორგანიზებისა და საქმისწარმოების ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს სამეცნიერო დეპარტამენტი.

5.7 სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები მიიღება საბჭოს სხდომებზე.

5.8 სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება მის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე სამეცნიერო საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ით.

5.9 სამეცნიერო საბჭოს თითოეულ გადაწყვეტილებაზე დგება ოქმი.

5.10 სამეცნიერო საბჭო ამტკიცებს დისერტაციის დაცვის კომისიას და მისი დასკვნის საფუძველზე ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

5.11 სამეცნიერო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს აკრედიტებული სადოქტორო პროგრამ(ებ)ის განვითარებისათვის შემუშავებულ ცვლილებებს.

**მუხლი 6. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე**

6.1 სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თსა-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი ან საპატიო პროფესორის წოდების მქონე პირი. ის ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას.

6.2 სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილებებია:

ა) სამეცნიერო საბჭოს სხდომების მოწვევა და მათზე თავმჯდომარეობა;

ბ) დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობის განსაზღვრა და სამეცნიერო საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) სადოქტორო სკოლის კოორდინატორთან ერთად სამეცნიერო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების პროცესის კოორდინაცია;

დ) სამეცნიერო საბჭოს საქმიანობის უწყვეტობისა და გადაწყვეტილებების დროული განხორციელების ხელშეწყობა.

**მუხლი 7. დისერტაციის დაცვის კომისია**

7.1 დისერტაციის დაცვის კომისია იქმნება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სადოქტორო სკოლის კოორდინატორის შუამდგომლობის საფუძველზე, პროსპექტუსის, სადოქტორო ნაშრომის (თეზისის, დისერტაციის) შეფასების, სადოქტორო კვლევის თემაზე სამეცნიერო პუბლიკაციის ვალდებულების და დისერტაციის დაცვის პროცედურების განხორციელების მიზნით.

7.2 დისერტაციის დაცვის კომისიის წევრები არიან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოქმედი აკადემიური ან/და სამეცნიერო პერსონალი.

7.3 დისერტაციის დაცვის კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან სადოქტორო კვლევის სამეცნიერო მიმართულებით. დისერტაციის დაცვის კომისიის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების წარმომადგენელი.

7.4 თუ სადოქტორო კვლევა სრულდება იმ სამეცნიერო მიმართულებით, რომლის წარმომადგენელიც არის თსა-ს სამეცნიერო საბჭოს წევრი, აღნიშნული პირი მოწვეული იქნება დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობაში ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის პირობით.

7.5 დისერტაციის დაცვის კომისიის ფუნქცია-მოვალეობებია:

ა) დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი პროსპექტუსის და სადისერტაციო ნაშრომის (თეზისის) შეფასება;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის (თეზისის) დაცვისთვის შესაბამისი რეცენზენტ(ებ)ის შერჩევა და სადოქტორო სკოლის კოორდინატორისთვის წარდგენა;

გ)დოქტორანტის მიერ სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის, აგრეთვე სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხელმძღვანელობაზე უარის განაცხადების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება სადოქტორო სკოლის კოორდინატორისთვის;

დ)დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული, ან გამოსაქვეყნებლად წარდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციების სადოქტორო კვლევის თემასთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება და სადოქტორო სკოლის კოორდინატორისთვის მიწოდება.

7.6 დისერტაციის დაცვის კომისიის წევრები წინასწარ (დისერტაციის დაცვამდე) ეცნობიან სადისერტაციო ნაშრომს.

7.7 დისერტაციის დაცვის კომისიაში სათათბირო ხმის უფლების გარეშე შეიძლება მონაწილეობდნენ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დისერტაციის რეცენზენტ(ებ)ი.

7.8 სათანადო დასაბუთების არსებობის შემთხვევაში დოქტორანტს აქვს დისერტაციის დაცვის კომისიის წევრის/წევრების აცილების უფლება. აცილების შემთხვევაში დისერტაციის დაცვის კომისიის შემადგენლობა უნდა განახლდეს მსგავსი კომპეტენციის მქონე პირით/პირებით.

**მუხლი 8. დოქტორანტურაში სწავლის უფლება**

8.1 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

8.2 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება ჰქონდეს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს, რომელსაც მიენიჭა მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომლის აკადემიური კვალიფიკაცია აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 9. დოქტორანტურაში მიღების წესი**

9.1 დოქტორანტურაში/სადოქტორო პროგრამაზე მიღებას სადოქტორო სკოლის კოორდინატორის წარდგინების საფუძველზე აცხადებს რექტორი. მიღება შეიძლება გამოცხადდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრისათვის.

9.2 სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურა ითვალისწინებს ორ ეტაპს:

1. აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის შეფასება კომისიის მიერ;
2. გასაუბრება კომისიასთან.

9.3 დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი (უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომის აღიარება უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი;

დ) ავტობიოგრაფია (CV);

ე) სადოქტორო პროგრამაზე მიღების მიზნებისათვის დამტკიცებული, აპლიკანტის მიერ შევსებული განაცხადი (დანართი #1), რომელიც სადოქტორო პროგრამაზე მიღების გამოცხადებისთანავე ქვეყნდება თსა-ს ვებ-გვერდზე;

ვ) შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით გამოქვეყნებული ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

ზ) სხვა დამატებითი დოკუმენტები, რომელსაც შეიძლება ითხოვდეს სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტი; აღნიშნული დოკუმენტები განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

9.4 სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავალდებულო კრიტერიუმია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. აღნიშნული მოთხოვნა დასტურდება ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი სერტიფიკატით ან დიპლომის დანართით, ან ინგლისურენოვანი მაგისტრატურის/მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით, რომელიც აღიარებულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

9.5 აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები განსახილველად და შესაფასებლად ეგზავნება სამეცნიერო დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე რექტორის ბრძანებით შექმნილ კომისიას.

9.6 კომისიის შემადგენლობაში შედიან თსა-ს და/ან საქართველოს და/ან საერთაშორისო სხვა აკადემიური დაწესებულებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი. პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელი არ მონაწილეობს შეფასების პროცესში. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება მინიმუმ 3 წევრით.

9.7 განაცხადის და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, აგრეთვე კრიტერიუმის შესაბამისად ქულების მინიჭების წესი (დანართი #2) განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

9.8 აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადი ფასდება კომისიური წესით ხუთი კრიტერიუმის შესაბამისად. თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმალური შეფასებაა 5 ქულა, ხოლო მინიმალური - 1 ქულა. კომისიის თითოეული წევრის მიერ განაცხადის შეფასება დაანგარიშდება შესაბამის კრიტერიუმებში მიღებული ქულათა ჯამით. აპლიკანტის განაცხადის საბოლოო ქულა წარმოადგენს კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკულ

მნიშვნელობას. სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარებისას აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის მაქსიმალური ჯამური ქულა არის 25. კომისიასთან გასაუბრებაზე აპლიკანტის დაშვების წინაპირობაა განაცხადის შეფასება 15 ან მეტი ქულა. აპლიკანტი, რომლის განაცხადი შეფასდება 15-ზე დაბალი ქულით, გამოეთიშება კონკურსს.

9.9 სადოქტორო პროგრამაზე მიღების საბოლოო, მეორე ეტაპზე აპლიკანტს უტარდება გასაუბრება კომისიასთან. გასაუბრების დროს აპლიკანტი წარუდგენს კომისიას 10 წუთიანი პრეზენტაციას დაგეგმილი სადოქტორო კვლევითი პროექტის შესახებ, რასაც მოსდევს დისკუსია. გასაუბრება ფასდება კომისიური წესით 2 კრიტერიუმის შესაბამისად. თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 5 ქულით, ხოლო მინიმალური - 1 ქულით. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია გასაუბრების შეფასება იყოს 6 ან მეტი ქულა. კომისიის თითოეული წევრის მიერ გასაუბრების შეფასება დაანგარიშდება შესაბამის კრიტერიუმებში მიღებული ქულათა ჯამით. აპლიკანტის გასაუბრების საბოლოო ქულა წარმოადგენს კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკულ მნიშვნელობას.

9.10 აპლიკანტის ერთიანი ქულა განისაზღვრება განაცხადის და გასაუბრების შედეგად მიღებული ქულების ჯამით. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აუცილებელია აპლიკანტის ერთიანი ქულა იყოს 21 ან მეტი.

9.11 ერთიანი ქულის საფუძველზე დოქტორანტურაში აპლიკანტის ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კომისია და წარუდგენს რექტორს.

9.12 თსა-ს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ორი თვისა ფორმდება ხელშეკრულება. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მხარეთა უფლება-ვალდებულებებს. ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა.

**მუხლი 10. მობილობა დოქტორანტურაში**

10.1 თსა-ს სადოქტორო განათლების საფეხურზე მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს საქართველოს და/ან უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი მიმართულების აკრედიტებული სადოქტორო პროგრამის დოქტორანტს.

10.2 თსა-ს სადოქტორო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვა არ განიხილება თუ აპლიკანტს შესაბამის აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში სადოქტორო კვლევის განსახორციელებლად მიღებული აქვს დაფინანსება იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფილირებით, საიდანაც სურს მობილობით გადმოსვლა, და აღნიშნული დაფინანსებით განსაზღვრული ვალდებულებები სრულად შესრულებული არ არის - დაფინანსებული პროექტი არ არის დასრულებული, მიმდინარეა.

10.3 სადოქტორო განათლების საფეხურზე მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს თსა-ს ინტელექტუალური რესურსების გათვალისწინებით. მობილობის წესით ჩარიცხული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე თსა-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი.

10.4 სადოქტორო განათლების საფეხურზე მობილობა ხორციელდება თსა-ს სადოქტორო პროგრამებზე მიღების გამოცხადებულ ვადებში.

10.5 მობილობის მსურველმა აპლიკანტმა განცხადებით უნდა მიმართოს თსა-ს სადოქტორო სკოლას. განცხადებას უნდა დაურთოს ინფორმაცია:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ფაკულტეტის/სკოლის, სადოქტორო პროგრამის და მიმართულების შესახებ, საიდანაც აპლიკანტს სურს მობილობით გადმოსვლა;

ბ) ასევე თსა-ს სადოქტორო პროგრამის შესახებ, რომელზეც სურს ჩარიცხვა.

უცხო ქვეყნის ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მობილობის შემთხვევაში აპლიკანტი ვალდებულია წინასწარ გაიაროს კონსულტაცია სადოქტორო სკოლის კოორდინატორთან გავლილი სასწავლო კომპონენტების აღიარების შესაძლებლობის შესახებ. და ამავე მუხლის 10.6 პუნქტით განსაზღვრულ ჩამონათვალთან ერთად წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სამაგისტრო პროგრამის დასრულების, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების და სადოქტორო პროგრამაზე სწავლისას გავლილი სასწავლო კურსების ნამდვილობის აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტები.

10.6 განცხადება თანდართული უნდა იყოს:

- შესაბამის აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი ცნობით; დოკუმენტი ასევე უნდა ასახავდეს, რომ დოქტორანტს არ აქვს მიღებული საგრანტო დაფინანსება სადოქტორო კვლევის განსახორციელებლად სხვა ინსტიტუციასთან აფილირებით.
- პროსპექტუსით: წარმოადგენს სადოქტორო კვლევის კონცეფციას; თუკი შესაბამის აკრედიტებულ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პროცესში აპლიკანტს დამტკიცებული აქვს პროსპექტუსი, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე მისი მოდიფიცირებული ვარიანტი.
- სადოქტორო კვლევის თემაზე მიღებული ბიოეთიკის კომიტეტის დასკვნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- სტუდენტის სასწავლო ბარათით.
- ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეზე ფლობის (მუხლი 9, პუნქტი 9.4) დამადასტურებელი დოკუმენტით.
- სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტით (მხოლოდ ვაჟებისთვის).
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლით.
- უმაღლესი განათლების მეშვიდე დონის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლით.
- ბიომეტრიული ფოტოსურათის ელექტრონული ვერსიით.

10.7 აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის მიზნით სადოქტორო სკოლის შუამდგომლობის საფუძველზე რექტორის ბრძანებით სამეცნიერო დეპარტამენტი ქმნის კომისიას. აღნიშნული კოლეგიური ორგანო 1 თვის ვადაში განიხილავს აპლიკანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აფასებს პროსპექტუსს.

10.8 პროსპექტუსის შეფასება გულისხმობს აპლიკანტის მიერ კომისიისთვის 30 წუთიანი პრეზენტაციის წარდგენას, რომელიც ასახავს:

- კვლევის თემას/პრობლემას და მის აქტუალობას
- ლიტერატურის მიმოხილვას და ბიბლიოგრაფიას
- მიზანს, ამოცანებს და/ან ჰიპოთეზას
- მეთოდოლოგიას
- გეგმას, მოსალოდნელ და მიღებულ შედეგებს
- მიღებული შედეგების ამსახველ პუბლიკაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

10.9 პროსპექტუსის შეფასებისას კომისია ხელმძღვანელობს შეფასების დუალური პრინციპით (დიახ/არა) შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- თემის აქტუალობა, ადეკვატური ფორმულირება

- კვლევის მიზნები, თეზისი/სამეცნიერო ჰიპოთეზა
- კვლევის მეთოდოლოგია და მისი შესაბამისობა მიზნებთან
- შედეგები და მათი შესაბამისობა კვლევის მიზანთან
- შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა
- წარმოდგენილი ნაშრომის შინაარსობრივი ღირებულება
- პრეზენტაციის უნარი
- არგუმენტაცია, ანალიზი, მსჯელობა
- კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი
- ტექნიკური ასპექტები და რეგლამენტის დაცვის უნარი.

10.10 დოკუმენტების განხილვის და პროსპექტუსის შეფასების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კომისია აყალიბებს და წარუდგენს რექტორს გადაწყვეტილებას აპლიკანტის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის და სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული აქტივობების აღიარების შესახებ.

10.11 სადოქტორო პროგრამაზე მობილობის შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აპლიკანტს აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება თსა-ს იურიდიული სამსახურის სახელზე არგუმენტირებული წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

10.12 კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით თსა-ს სადოქტორო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხული დოქტორანტი ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებას. აღნიშნული სავალდებულოდ გულისხმობს:

- სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით განსაზღვრული აქტივობების - კვლევითი სემინარი, სამეცნიერო პუბლიკაცია - დოქტორანტის პირველი ავტორობით, თსა-სთან აფილირებით, დისერტაციის თემასთან დაკავშირებული 2 სტატიის გამოქვეყნებას ან გამოსაქვეყნებლად მიღებას საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში; სადოქტორო ნაშრომის შესრულება და დაცვა.
- სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით - ასისტირება, განსაზღვრული აქტივობების განხორციელებას.
- სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული აქტივობების აღიარების გათვალისწინებით სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.

10.13 სადოქტორო განათლების საფეხურზე მობილობის თვალსაზრისით წახალისებულია დოქტორანტების მონაწილეობა საერთაშორისო კვლევით მობილობებსა და სტაჟირებებში (მაგალითად, Horizon Europe, COST, Erasmus+ და სხვა).

10.14 თსა-ს სადოქტორო პროგრამებზე დაშვების განსხვავებული წინაპირობების მიზეზით შიდა მობილობა (აკადემიის ერთი სადოქტორო პროგრამიდან მეორეზე) არ არის გათვალისწინებული.

**მუხლი 11. დოქტორანტურის აკადემიური სტრუქტურა**

11.1 თსა-ს მისიის, ინსტიტუციური და კვლევითი პრიორიტეტების შესაბამისად სამეცნიერო დეპარტამენტი უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამების შემუშავებას, განახლებას და განვითარებას, ხოლო სადოქტორო სკოლა პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე.

11.2 დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წლით, თუ სადოქტორო პროგრამით სხვა, განსაკუთრებული პირობები არ არის გათვალისწინებული. იმ

შემთხვევაში, თუ დოქტორანტი ვერ ასრულებს პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს 5 წელიწადში, მას შესაძლებელია გაუფორმდეს დამატებითი ერთწლიანი ხელშეკრულება, შესაბამისი აკადემიური და ადმინისტრაციული პირობების გათვალისწინებით.

11.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 კრედიტი.

11.4 სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების მაქსიმალური ოდენობა, სასწავლო კურსები და მათი თანმიმდევრობა სადოქტორო პროგრამით განისაზღვრება.

11.5 თსა-ს სადოქტორო სკოლა შეიძლება ახორციელებდეს ერთობლივ პროგრამებს, რომელთა პირობები განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მემორანდუმები, კურიკულუმები და ა.შ.).

**მუხლი 12. სამეცნიერო ხელმძღვანელი**

12.1 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა სადოქტორო განათლების ძირითად პროცესს წარმოადგენს. ის მიზნად ისახავს დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი კომპეტენციის ჩამოყალიბების და უნარების განვითარების ხელშეწყობას.

12.2 დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობა ხორციელდება აკადემიური თავისუფლების და კეთილსინდისიერების, ეთიკის და კოლეგიალობის, ბიოეთიკის, ინსტიტუციური კულტურის, პასუხისმგებლიანი მენტორობის, პროფესიული განვითარების პრინციპების შესაბამისად აგებული კვლევითი და აკადემიური პროცესების დაცვით.

12.3 სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში დოქტორანტს მენტორობას უწევს სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც დოქტორანტთან ერთად პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გეგმის შესრულებაზე და კოორდინირებას უწევს დოქტორანტს კვლევითი კომპონენტის განხორციელებისას.

12.4 სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, თსა-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია დაგეგმილი სადოქტორო კვლევის მიმართულებით.

12.5 სამეცნიერო ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ გამოცემებში; სასურველია ეროვნულ და/ან საერთაშორისო საგრანტო კონკურსებში წარმატებული მონაწილეობის გამოცდილება.

12.6 სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება ხელმძღვანელობდეს აქტიური სტატუსის მქონე მაქსიმუმ 3 დოქტორანტს (თანაფარდობა 1:3); მიდგომა შესაბამისობაშია და ითვალისწინებს „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა“ დოკუმენტით განსაზღვრულ პირობებს. თანაფარდობის გათვალისწინება სავალდებულოა გამონაკლის შემთხვევაშიც (მაგალითად, სტატუსშეჩერებული დოქტორანტის მობილიზაციისას). განსხვავებული თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ საერთაშორისო კვლევითი პროექტის პირობებში, პროექტის მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით და შესაბამისი, საპროექტო განაცხადსა და საგრანტო ხელშეკრულებაში წარმოდგენილი დასაბუთების არსებობის შემთხვევაში.

12.7 სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე თანხმობას ადასტურებს სადოქტორო განაცხადზე ხელმოწერით. სადოქტორო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს დოქტორანტის სასწავლო-კვლევით აქტივობებში.

12.8 სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებია:

- დოქტორანტთან რეგულარული აკადემიური შეხვედრების ჩატარება (სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურად მინიმუმ 2 შეხვედრა);
- მენტორობა და დოქტორანტის კონსულტირება კვლევის დიზაინის, მეთოდოლოგიის, აკადემიური წერის, ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაციის, შედეგების ანალიზის და სამეცნიერო პუბლიკაციის მომზადების, და სადოქტორო კვლევასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე;
- დოქტორანტის თსა-ს აქტივობებში ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრულ აქტივობების და სადოქტორო კვლევის პროგრესის დეტალურად და დროულად შეფასება.

12.9 სამეცნიერო ხელმძღვანელი ყოველსემესტრულად ახორციელებს დოქტორანტის პროგრესის შუალედურ შეფასებას და წელიწადში ერთხელ წარუდგენს ფორმალურ ანგარიშს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს.

12.10 თსა ითვალისწინებს გუნდური სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესაძლებლობას. მიდგომა გულისხმობს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად შესაბამისი კვლევითი კომპეტენციის მქონე საკონსულტაციო ჯგუფის მიერ დოქტორანტის დამატებით აკადემიურ მხარდაჭერას კონკრეტულ კვლევით საკითხზე.

12.11 გუნდური სამეცნიერო ხელმძღვანელობის მიზნით ჩამოყალიბებული საკონსულტაციო ჯგუფის წევრები არ არიან დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან თანაბარი უფლებამოსილების მქონე პირები; ისინი უზრუნველყოფენ სადოქტორო კვლევის კონკრეტულ საკითხზე დამატებით, კვალიფიციურ კვლევით კომპეტენციას.

12.12 საკონსულტაციო ჯგუფის წევრები შეიძლება იყვნენ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ გამოცემებში და არიან თსა-ს პერსონალი და/ან ადგილობრივი ან საერთაშორისო უნივერსიტეტების/კვლევითი ინსტიტუციების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.

12.13 საკონსულტაციო ჯგუფის ფუნქციებია:

- დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი საკითხ(ებ)ის განხილვა და შესაბამისი მეთოდოლოგიური/პრაქტიკული რეკომენდაციის შემუშავება;
- შემუშავებული მეთოდოლოგიური/პრაქტიკული რეკომენდაციის გამოყენების შეფასება და ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში დახვეწა და მონაწილეობა მიღებული შედეგების ანალიზში;
- საჭიროების შემთხვევაში მომზადებული თემატური სამეცნიერო ნაშრომის განხილვა და განმავითარებელი უკუკავშირის მომზადება.

12.14 საკონსულტაციო ჯგუფი ყალიბდება ერთი სემესტრის და/ან უფრო ხანგრძლივი ვადით დოქტორანტთან და მის სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციის საფუძველზე.

12.15 საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობის კოორდინირებას ახორციელებს სადოქტორო სკოლის კოორდინატორი.

12.16 სადოქტორო განათლების საფეხურზე დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სტატუსით მონაწილეობისთვის სავალდებულოა ტრენინგის "ეფექტური სამეცნიერო ხელმძღვანელობის ძირითადი პრინციპები" გავლა.

12.17 თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტი სამეცნიერო დეპარტამენტთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს რეგულარულ ტრენინგებს, რომელთა გავლა სამეცნიერო ხელმძღვანელისთვის სავალდებულოა.

12.18 სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასება ხორციელდება დოქტორანტის, პოსტდოქტორანტის, სამეცნიერო დეპარტამენტის და ასევე ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის მიერ დოკუმენტში "სამეცნიერო ხელმძღვანელის შეფასების პრინციპები" ასახული მიდგომების შესაბამისად.

12.19 სამეცნიერო ხელმძღვანელობა წარმოადგენს აკადემიური დატვირთვის ნაწილს და აისახება თსა-ს პერსონალის დატვირთვის სქემაში.

12.20 დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელი წერილობით მიმართავს სადოქტორო სკოლის კოორდინატორს.

12.21 სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის სურვილის შემთხვევაში დოქტორანტი წერილობით მიმართავს სადოქტოროს სკოლის კოორდინატორს.

**მუხლი 13. სადისერტაციო ნაშრომის გეგმა (პროსპექტუსი)**

13.1 საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილ ვადაში დოქტორანტმა დისერტაციის დაცვის კომისიას უნდა წარუდგინოს სადისერტაციო ნაშრომის პროექტი - პროსპექტუსი, რომელშიც წარმოდგენილია:

ა) სამეცნიერო კვლევის აქტუალობა;

ბ) სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა;

გ) მიზანი, ამოცანები და/ან ჰიპოთეზა;

დ) მეთოდოლოგია;

ე) გეგმა;

ვ) მოსალოდნელი შედეგები;

ზ) ბიბლიოგრაფია.

13.2 პროსპექტუსის შეფასებისას დისერტაციის დაცვის კომისია ხელმძღვანელობს შეფასების დუალური პრინციპით (დიახ/არა) შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:

- განსაზღვრული თემის აქტუალობა, ადეკვატური ფორმულირება
- მიზნ(ებ)ის განსაზღვრა და მკაფიო ფორმულირება
- თეზისი/სამეცნიერო ჰიპოთეზა
- მიზნების შესაბამისობა თემასთან და თეზისთან/სამეცნიერო ჰიპოთეზასთან
- კვლევის მეთოდოლოგია
- კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა მიზნებთან
- მოსალოდნელი შედეგები
- მოსალოდნელი შედეგების შესაბამისობა თეზისთან/სამეცნიერო ჰიპოთეზასთან
- ბიოეთიკური ასპექტები
- მოსალოდნელი შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა
- შესრულებული სამუშაოს შინაარსობრივი ღირებულება
- თემის პრეზენტაციის უნარი
- საკუთარი არგუმენტაცია, ანალიზი
- დასკვნების ორიგინალურობა, სიახლე მსჯელობაში
- კითხვებზე პასუხის გაცემის უნარი
- ტექნიკური ასპექტები და რეგლამენტის დაცვის უნარი.

13.3 დისერტაციის დაცვის კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დისერტაციის დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

**მუხლი 14. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის პროცედურა**

14.1 დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციის სტანდარტების და „პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის აკადემიური წერის სტანდარტით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით გაფორმებულ სადისერტაციო ნაშრომს ელექტრონულად წარუდგენს სადოქტორო სკოლის კოორდინატორს.

14.2 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

14.3 სადისერტაციო ნაშრომი შეიძლება ასევე წარმოადგენდეს გამოქვეყნებული ნაშრომების ნაკრებს, თუ:

ა) დოქტორანტს სადისერტაციო თემის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს მინიმუმ 4 სამეცნიერო სტატია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus, Science Direct, PubMed, MEDLINE, EBSCO, ERIH Plus, Web of Science და სხვა) ინდექსირებულ ჟურნალებში;

ბ) ზემოაღნიშნულიდან მინიმუმ 2 სტატიაში დოქტორანტი არის პირველი ავტორი.

14.4 ამავე მუხლის მე-3 პუნქტით აღწერილ შემთხვევაში დოქტორანტმა უნდა მოამზადოს:

ა) თავფურცელი, წარმოადგენს დისერტაციის სათაურს, დისერტაციის ავტორს, სამეცნიერო ხელმძღვანელს და თანდართული შრომების ჩამონათვალს;

ბ) დისერტაციის აბსტრაქტი (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 5000-7000 და საჭიროებისამებრ ილუსტრაციები), წარმოადგენს თანდართული სამეცნიერო პუბლიკაციების ერთიან სამეცნიერო თემას, მეთოდოლოგიურ მიდგომასა და მიღებულ შედეგებს;

გ) გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციების ასლებს.

იმ შემთხვევაში, თუ სადოქტორო კვლევის თემა სრულად არ არის განხილული გამოქვეყნებულ 4 სტატიაში, დოქტორანტს შეუძლია გამოქვეყნებულ სტატიებთან ერთად დამატებით წარადგინოს გამოუქვეყნებელი და/ან გამოსაქვეყნებლად მიღებული მაქსიმუმ 2 სტატია. გამოსაქვეყნებლად მიღებული პუბლიკაციის შემთხვევაში დოქტორანტი ვალდებულია წარადგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ნაშრომის მიღება გამოსაქვეყნებლად. აღნიშნული ფორმით წარმოდგენილმა სადისერტაციო ნაშრომმა უნდა გაიაროს რეცენზირება.

14.5 სადისერტაციო ნაშრომი ასევე უნდა მოიცავდეს შემაჯამებელ რეზიუმეს, რომელიც ასახავს სადოქტორო კვლევის შედეგებს და მათ სამეცნიერო მნიშვნელობას.

14.6 ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ხელმოწერილი განცხადება, რომ სადისერტაციო ნაშრომი დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევის შედეგია და არ შეიცავს პლაგიატს;

ბ) რეცენზენტების მიერ შესრულებული ნაშრომის შუალედური შეფასებები;

გ) დისერტაციის დაცვის კომისიის დასკვნები დოქტორანტის პუბლიკაციების წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

**მუხლი 15. საერთაშორისო გამოქვეყნების ვალდებულება**

15.1 დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს თსა-სთან აფილირებით სადოქტორო კვლევის შესაბამისი სამეცნიერო მიმართულებით გამოქვეყნებული, ან გამოსაქვეყნებლად მიღებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2 სამეცნიერო პუბლიკაცია სამეცნიერო ჟურნალ(ებ)ში, რომელიც ინდექსირებულია

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus, Science Direct, PubMed, MEDLINE, EBSCO, ERIH Plus, Web of Science და სხვა).

15.2 დოქტორანტი უნდა იყოს წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების პირველი ავტორი.

15.3 დისერტაციის დაცვის კომისია სადოქტორო სკოლის კოორდინატორს წარუდგენს დასკვნას სადოქტორო ნაშრომთან პუბლიკაციების და ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან პუბლიკაციის შესაბამისობის შესახებ.

**მუხლი 16. დისერტაციის დაცვის კომისიის სხდომის მოწვევა და სადისერტაციო ნაშრომის შეფასება**

16.1 დოქტორანტის სამეცნიერო პუბლიკაციებთან მიმართებით დისერტაციის დაცვის კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში, სადოქტორო სკოლის კოორდინატორი მიმართავს რექტორს დისერტაციის დაცვის კომისიის საჯარო სხდომის მოწვევის მოთხოვნით.

16.2 დისერტაციის დაცვის კომისია ასახელებს რეცენზენტ(ებ)ის კანდიდატურას; ეცნობა რეცენზენტების დასკვნას სადოქტორო ნაშრომის შესახებ.

16.3 სადოქტორო სკოლის კოორდინატორი ხმის უფლების გარეშე ესწრება დისერტაციის დაცვის კომისიის სხდომებს.

16.4 სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხორციელდება შემდეგი მიდგომით:

Summa cum laude (ფრიადი, 91-100 ქულა) - შესანიშნავი ნაშრომი

Magna cum laude (ძალიან კარგი, 81-90 ქულა) - ნაშრომი, რომელიც კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ზედმიწევნით შეესაბამება

Cum laude (კარგი, 71-80 ქულა) - ნაშრომი, რომელიც კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შეესაბამება

Bene (საშუალო, 61-70 ქულა) - ნაშრომი, რომელიც კრიტერიუმებით განსაზღვრულ ძირითად მოთხოვნებს მეტწილად შეესაბამება

Rite (დამაკმაყოფილებელი, 51-60 ქულა) - ნაშრომი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს შეესაბამება

Insufficienter (არადამაკმაყოფილებელი, 41-50 ქულა) - არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აღინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები

Sub omni canone (სრულიად არადამაკმაყოფილებელი, 40 ქულა და ნაკლები) - სრულიად არადამაკმაყოფილებელი ნაშრომი.

16.5 საბოლოო შეფასების შესახებ გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვის კომისიის მიერ მიიღება სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული პროცედურის და კრიტერიუმების შესაბამისად.

16.6 უარყოფითი შეფასების, insufficienter - არადამაკმაყოფილებელი, შემთხვევაში დოქტორანტმა ერთი წლის განმავლობაში უნდა წარუდგინოს დისერტაციის დაცვის კომისიას გადამუშავებული ნაშრომი. Sub omni canone - სრულიად არადამაკმაყოფილებელი, შეფასების შემთხვევაში დოქტორანტმა დისერტაციის დაცვის კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში უნდა წარუდგინოს აღნიშნულ კომისიას ახალი ნაშრომი.

16.7 დოქტორანტის მიერ ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემდეგ დისერტაციის დაცვის კომისიის მიერ განმეორებითი უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი სწავლის შედეგების მიუღწევლობის მიზეზით.

**მუხლი 17. დისერტაციის დაცვა**

17.1 დისერტაციის დაცვა ხდება დისერტაციის დაცვის კომისიის წინაშე. დისერტაციის დაცვა არის საჯარო და ხორციელდება ღია სხდომაზე.

17.2 დაცვის ენა არის ინგლისური.

17.3 დაცვის პროცესის ხანგრძლივობას ადგენს დისერტაციის დაცვის კომისია.

17.4 დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას, სამეცნიერო კამათს და დისერტაციის დაცვის კომისიის გადაწყვეტილების გამოცხადებას.

17.5 სამეცნიერო ხელმძღვანელს აქვს დაცვაზე დასწრების უფლება. სამეცნიერო ხელმძღვანელი გამოთქვამს მოსაზრებას დისერტაციის და დოქტორანტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დისერტაციის დაცვის კომისია მას შეკითხვით მიმართავს.

17.6 დისერტაციის დაცვის შეფასება წარმოებს მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მიდგომის შესაბამისად.

**მუხლი 18. ხარისხის მინიჭება და გამოქვეყნების ვალდებულება**

18.1 დისერტაციის დაცვის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სამეცნიერო საბჭო ანიჭებს დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დამადასტურებელი დიპლომის გაცემის შემდეგ პირი უფლებამოსილია იწოდებოდეს აკადემიურ დოქტორად შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

18.2 სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა.

18.3 დიპლომი შეიცავს დისერტაციის სახელწოდებას, დაცვის თარიღსა და საერთო შეფასებას. დიპლომს ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და რექტორი. დიპლომი მოწმდება თსა-ს ბეჭდით.

18.4 სადოქტორო სკოლა ვალდებულია დისერტაციის დაცვიდან 1 თვის ვადაში გამოაქვეყნოს დისერტაცია.

**მუხლი 19. გასაჩივრების პროცედურა**

19.1 დოქტორანტურაში სწავლის პროცესში წარმოშობილ აკადემიურ ან კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე წარდგენილ წერილობით განცხადებებს, სამეცნიერო ნაშრომის მსვლელობის მიცემამდე, განიხილავს სადოქტორო სკოლის აკადემიური კოორდინატორი, ხოლო აღნიშნული ეტაპის შემდეგ - დისერტაციის დაცვის კომისია.

19.2 დოქტორანტურაში სწავლის პროცესში დოქტორანტისთვის შეფასების შედეგების გაცნობა წარმოებს შეფასების პროცესის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

19.3 შეფასების შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დოქტორანტს აქვს უფლება გაასაჩივროს შეფასება სადოქტორო სკოლის კოორდინატორის/დისერტაციის დაცვის კომისიის სახელზე არგუმენტირებული წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

19.4 გასაჩივრების პროცესში წერილობითი არგუმენტირებული განცხადების განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილება მიიღება მისი წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 20. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერება**

დოქტორანტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა ხდება თსა-ს მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

**მუხლი 21. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა**

21.1 დოქტორის აკადემიური ხარისხი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური კეთილსინდისიერების და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში.

21.2 აკადემიური ხარისხი ბათილად იქნება ცნობილი, თუ დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომთან მიმართებით დადგინდა აკადემიური კეთილსინდისიერების სტანრატების დარღვევა.

21.3 ამ გადაწყვეტილებას იღებს სამეცნიერო საბჭო ან მის მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია.

**მუხლი 22. დაფინანსება**

დოქტორანტის დაფინანსება წარმოებს სახელმწიფო, მიზნობრივი და სამეცნიერო-კვლევითი გრანტის, თსა-ს დაფინანსების, სტიპენდიების და თვითდაფინანსების ფორმით.

**მუხლი 23. დასკვნითი დებულებები**

23.1 წინამდებარე დებულებას ამტკიცებს რექტორის საბჭო;

23.2 წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მისი მიღების წესით.

23.3 წინამდებარე დებულების დამტკიცებით გაუქმდა მარეგულირებელი დოკუმენტი "პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის და სამეცნიერო საბჭოს დებულება" (დამტკიცებული რექტორის მიერ, ბრძანება #14, 29.01.2024).

*დანართი 1*

**სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის განაცხადის ფორმა**

აპლიკანტის სახელი, გვარი:

პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

კვლევის თემა (განსაზღვრეთ კვლევის თემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალობა. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

კვლევის მიზანი და ამოცანები, სამეცნიერო ჰიპოთეზა (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

კვლევის მეთოდოლოგია (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი პრაქტიკული გამოყენება/მნიშვნელობა (სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა - 200)

აპლიკანტის ხელმოწერა:

პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი:

*დანართი 2*

**სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის განაცხადის და გასაუბრების შეფასება**

**სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის განაცხადის შეფასება**

კომისიის წევრის სახელი, გვარი:

აპლიკანტის სახელი, გვარი:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

| **კრიტერიუმები** |
|---|
| **კვლევის თემა** - რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული კვლევის თემა/პრობლემა; რამდენად სწორად, თანმიმდევრულად და საკმარისად არის დასაბუთებული მისი აქტუალობა |
| **კვლევის მიზნები და ამოცანები, სამეცნიერო ჰიპოთეზა** - რამდენად სწორად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი და ამოცანები; რამდენად შეესაბამება კვლევის ჰიპოთეზა კვლევის მიზანს, რამდენად სწორად და ნათლად არის ჩამოყალიბებული |
| **კვლევის მეთოდოლოგია** - რამდენად სწორად არის შერჩეული მეთოდოლოგია, რამდენად სრულად და მკაფიოდ არის აღწერილი მეთოდოლოგია |
| **კვლევის მოსალოდნელი შედეგები და მათი პრაქტიკული გამოყენება/მნიშვნელობა** - რამდენად ნათლად არის ჩამოყალიბებული კვლევის შედეგების არსი და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა |
| **განაცხადის ენა და სტილი** – რამდენად თანმიმდევრულია არგუმენტაცია და მსჯელობა, რამდენად არის დაცული აკადემიური ენისა და სტილის სტანდარტები |
| **ჯამური ქულა**<br>**კომენტარი** |

**კრიტერიუმის შესაბამისად ქულების მინიჭების წესი:**

| |
|---|
| **5 ქულა -** აპლიკანტის განაცხადი ზედმიწევნით შეესაბამება კრიტერიუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს |
| **4 ქულა -** აპლიკანტის განაცხადი შეესაბამება კრიტერიუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აღინიშნება მცირე, უმეტესწილად ტექნიკური ხასიათის ხარვეზები |
| **3 ქულა -** აპლიკანტის განაცხადი უმეტესწილად შეესაბამება კრიტერიუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აღინიშნება მცირე შინაარსობრივი უზუსტობები |
| **2 ქულა -** განაცხადში აღინიშნება მნიშვნელოვანი ფაქტობრივი და შინაარსობრივი უზუსტობები |
| **1 ქულა -** განაცხადი არ შეესაბამება კრიტერიუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ის არასრულად არის წარმოდგენილი |

კომისიის წევრების ხელმოწერა:

თარიღი:

**სადოქტორო პროგრამის აპლიკანტის გასაუბრების შეფასება**

კომისიის წევრის სახელი, გვარი:

აპლიკანტის სახელი და გვარი:

სადოქტორო კვლევითი პროექტის სათაური:

| **კრიტერიუმი** |
|---|
| **პრეზენტაცია** - საკითხების/ინფორმაციის აკადემიური გადმოცემა, თანამიმდევრულობა და სიცხადე; კომუნიკაცია მსმენელებთან |
| **დისკუსია** - დასმული კითხვის აღქმის უნარი; დასმულ კითხვაზე კომპეტენტურად, არგუმენტირებულად და თანამიმდევრულად პასუხის უნარი |
| **ჯამური ქულა**<br>**კომენტარი** |

**კრიტერიუმის შესაბამისად ქულების მინიჭების წესი:**

| |
|---|
| **5 ქულა -** აპლიკანტის პრეზენტაცია ამომწურავად წარადგენს სადოქტორო კვლევით პროექტს; დისკუსია ამომწურავი და არგუმენტირებულია |
| **4 ქულა -** აპლიკანტის პრეზენტაცია მთლიანობაში წარადგენს სადოქტორო კვლევით პროექტს, დისკუსიის შედეგად და დამატებითი კითხვებით ხდება გარკვეული საკითხების დაზუსტება |
| **3 ქულა -** აპლიკანტის პრეზენტაცია ზოგადად წარადგენს სადოქტორო კვლევით პროექტს, დისკუსიის პროცესში ვლინდება შინაარსობრივი უზუსტობები |
| **2 ქულა -** პრეზენტაცია მნიშვნელოვანი შინაარსობრივი უზუსტობებით და ტექნიკური ხარვეზებით წარადგენს სადოქტორო კვლევით პროექტს, დისკუსია არაარგუმენტირებულია |
| **1 ქულა -** პრეზენტაციით არ ხდება სადოქტორო კვლევითი პროექტის წარდგენა, დისკუსია არ შეესაბამება კრიტერიუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ის არასრულად არის წარმოდგენილი |

კომისიის წევრების ხელმოწერა:

თარიღი: